თუ ჯერ არ დარეგისტრირებულხართ, ამ ბმულის კოპირებით და ანკეტის შევსებით შეგიძლიათ, მოიპოვოთ ყოველთვიური 30₾ დაფინანსება: forms.gle/uqJ7bfUn4sqs44799

| | ინგლისური ენა |
|---|---|
| **სწავლების კლასი** | II კლასი |
| **სახელმძღვანელო** | Grammar Book- *Round-up starter*<br>Distance learning web resources : *K5Learning; Ebooks, en.childrenslibrary.org edutopia.org; learnenglishkids.britishcouncil.org* |
| **სასწავლო საგნის ხანგრძლივობა** | 4 თვე |
| **მეცადინეობის განრიგი** | კვირაში 2 საათი |
| **ინგლისური ენის სწავლების მიზანი** | მოსწავლეებმა შეიყვარონ ინგლისური ენის სწავლის პროცესი. ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება სამიზნე ენის კულტურის მიმართ. მეთოდურად გაკვეთილები ორიენტირებულია დიფერენცირებულ მიდგომაზე. აკადემიის სახალისო და განმავითარებელი სასწავლო გარემო თითოეული მოსწავლის მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნავს. მოზარდის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით სწავლება მაქსიმალურად პრაქტიკულ აქტივობებს გულისხმობს. |
| **კურსის მიზანი(ები)** | მოსწავლეებმა მარტივად აითვისონ სასკოლო პროგრამა და ისწავლონ დამატებითი საკითხები, რაც არის არის გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით. ინგლისურ ენას II კლასში აქვს გაცნობითი ხასიათი. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი თავის წარგენა. ასევე სწორად აღიქვას ენის თავისებურებანი(ინტონაცია, მახვილი, ფრაზა და ა. შ) მათ უნდა შეძლონ:<br>• ინტერაქცია სოციალური ურთიერთობებისას: მისალმება, დამშვიდობება, გაცნობა, მადლობის გადახდა, მილოცვა;<br>• ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად: პირადი მონაცემების გაცვლა, ადამიანის/საგნის აღწერა, ამინდის გაგება, ნებართვის თხოვნა;<br>• ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ: მოწონება/არმოწონება, სურვილის გამოხატვა, დადებითი და უარყოფითი შეფასება;<br>• ინტერაქცია ემოციებისა და შეგრძნებების შესახებ: ემოციებისა (სიხარული, ბრაზი, წუხილი, გაოცება, შიში) და შეგრძნებების (სიცივე, სიცხე) გამოხატვა;<br>ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ: დროის მითითება, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება; |